

# სპორტული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სალომე სეხნიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ტურიზმის მენჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბეგაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე სეხნიაშვილი



29.01.2022

## მადლობა

დიდი მადლობა სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ გიორგი ბეგაძეს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პროფესიულ განვითარებაში. მადლობა გაზიარებული გამოცდილებისათვის.

## აბსტრაქტი

სპორტული ტურიზმი სწრაფად მზარდი მიმართულებაა, რომლითაც ბევრი ქვეყანა უფრო ცნობადი გახდა ვიდრე ის იქამდე იყო. ამავდროულად ბევრი ქვეყანა სპორტული ტურიზმით ძალიან დიდ ეკონომიკურ სარგებელს იღებს. საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი მსგავსი ტურიზმის სახეობის კიდევ უფრო მეტად განვითარებისა, შესაბამისად, საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარებით გაიზრდება როგორც ქვეყნის ცნობადობა, ასევე ქვეყანას ეყოლება ბევრად მეტი ვიზიტორი, ვიდრე- წინა პერიოდში. ნაშრომში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებს სპორტული ტურიზმის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და ამავდროულად საუბარია საქართველოს მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებიც ტურიზმის ამ მიმართულების განვითარებას უწყობს ხელს.

ფაქტორები, რომლებიც აფერხებს სპორტული ტურიზმის განვითარებას, გამოვლინდა პირველადი და მეორეული კვლევის შედეგად. მეორეული კვლევის ფარგლებში განხორციელდა თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერისა და მკვლევარის, წიგნისა და წერილობითი წყაროს გაცნობა. პირველადი კვლევა ჩატრდა რაოდენობრივი მეთოდით. პირველადი კვლევის არეალში გამოიკითხმენ პროფესიონალი სპორტსმენები და ასევე სპორტის მოყვარული რესპოდენტები, რომლებიც არიან პოტენციური სპორტული ტურისტები.

კვლევის შედეგად დადგინდა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის სპორტული ტურიზმის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. რესპოდენტთა უმეტესობის აზრით საქართველოს გააჩნია პოტენციალი, რომ გახდეს სპორტული ტურიზმის მიმართულების ქვეყანა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარებას აფერხებს, მოუწესრიგებელი და გაუამრთავი ინფრასტრუქტურა, ნაკლები პიარ-კამპანიები, არაკვალიფიციური პერსონალი და კომუნიკაციის ნაკლებობა. გამოიკვეთა, რომ საფრთხის შემცველი აღმოჩნდა არაპროფესიონალი სპორტული ტურისტებისთვის საქართველოში მოგზაურობის

დროს სპორტულ აქტივობაში ჩართვა, ასევე დადგინდა, რომ ქვეყანაში სპორტული ბაზები საჭიროებს კიდევ უფრო მეტ განვითარებას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სპორტული ტურიზმი, სპორტული ტურისტი, სპორტი და ტურიზმი, სპორტული ტურიზმი საქართველოში, სპორტული ინფრასტრუქტურა საქართველოში.

## **Abstract**

Sport tourism is a fast-growing field that has made many countries more recognisable than it was before. At the same time, many countries are reaping huge economic benefits from sports tourism. Georgia has a great potential for further development of such tourism, therefore, the development of sports tourism in Georgia will increase the country's awareness, and the country will have many more visitors than in the past. The paper discusses the factors that hinder the development of sports tourism in our country and at the same time shows the steps taken by Georgia, which contributes to the development of this direction of tourism.

Factors that hinder the development of sports tourism were identified as a result of primary and secondary research. Secondary research introduced various scientists and researchers, books and written sources. The initial study was conducted by quantitative method. Due to the primary research professional athletes as well as sports-loving respondents who are potential sports tourists were surveyed.

The study identified the factors that impede the development of sports tourism in our country. According to the majority of respondents, Georgia has the potential to become a country of sports tourism. The study found that the evolution of sports tourism in Georgia is obstructed by disorganised and poor infrastructure, fewer PR campaigns, unqualified staff and lack of communication. It was found that it was dangerous for non-professional sports tourists to engage in sports activities while traveling in Georgia; and it was also found that sports bases in the country need further advancement.

Keywords: sports tourism, sports tourist, sports and tourism, sports tourism in georgia, sports  
infrastructure in georgia